შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიული დასაქმების მოტივაცია და გარემო ფაქტორები

თამარ მახათაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:ქეთევან მაყაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოტივაციასა და მზაობას პროფესიული დასაქმებისათვის და იმ გარემო ფაქტორებს, სადაც უწევთ მათ საქმიანობის განხორციელება.

დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ადამიანს ესაჭიროება ცხოვრების საწყის ეტაპზე განათლების მიღება, შემდეგ კი დასაქმება. ამისათვის ინდივიდს შესაფერისი და ხელშემწყობი გარემო სჭირდება, რათა გაიზარდოს პიროვნების ჩართულობა და თვითრეალიზების მოტივაცია. საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვნად არის აღნიშნული რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა აქვს განათლების უფლება თუმცა არაფერი არ არის ნახსენები დასაქმების შესახებ. დღესდღეობით მიმდინარეობს მუშაობა კანონზე, რის მიხედვითაც სახელმწიფო პოლიტიკა მომავალში უზრუნველყოფს დამსაქმებლისა და დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობას; ერთის მხრივ, დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი ახდენს თვითრეალიზებას, აიღებს ანაზღაურებას და ხდება საზოგადოების წევრი, მეორე მხრივ კი დამსაქმებელიც ღებულობს დამატებით სარგებელს.

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისში არსებული სსიპ კოლეჯი „სპექტრისა“ და სსიპ კოლეჯი „მერმისის“ ინკლუზიური - პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობებისა და საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე 20 პირი, რომლებიც პრაქტიკის ფარგლებში დასაქმებულნი არიან სხვადასხვა ორგანიზაციებში. კვლევა ჩავატარე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევისათვის გამოვიყენე დაკვირვება და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, სადაც რესპოდენტის პასუხებითვის უნდა მიმენიჭებინა რეიტინგული ქულები. კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე შემდეგი ინსტრუმენტები: 1) ნებელობის კითხვარი(THE VOLITIONAL QUESTIONNAIRE) და 2) სამუშაო გარემოს ზემოქმედების მასშტაბი. WORK ENVIRONMENTALIMPACT(WEIS)

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უმრავლესობა მოტივირებულნი არიან ჩაერთონ

პროფესიული განათლების მიღების შედეგად სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობებში და იყვნენ კონკურენტუნარიანი სხვა დასაქმებულ პირებთან ერთად. ასევე იჩენენ ინიციატივებს და ეძებენ დამატებით გამოწვევებს საქმიანობის პროცესში. თუმცა ასევე გამოიკვეთა ის გარემო ფაქტორები, როლებიც ერთგვარად წარმოადგენენ როგორც მხარდამჭერ, ასევე ხელის შემშლელ ფაქტორებს შეზღუდული შესაძლებლობებისა და საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის დასაქმების ადგილას.